**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის**

# **გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 43**

**04 ოქტომბერი 2012 წელი** **ქ. ბათუმი**

## **უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის**
## **რეგისტრაციის გაუქმების შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 41-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საარჩევნო სუბიექტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“ მიერ წარდგენილი კანდიდატის ფრიდონ სირაბიძის 2012 წლის 4 ოქტომბრის განცხადების (რეგისტრაციის №01-23/146) შესაბამისად, **ვადგენ**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის, გაუუქმდეს საარჩევნო რეგისტრაცია და მოხსნილი იქნას საარჩევნო სუბიექტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“ მიერ წარდგენილი პარტიული სიიდან უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი (პარტიული სიის რიგით №4) ფრიდონ სირაბიძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე** **არჩილ მიქელაძე**